სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის ოქტომბერი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა**	3
ნაწილი 4	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები	3
4.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით	3
4.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	4
4.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით	16
4.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით.	16
ნაწილი 5	დაზარალებული პირები	19
5.1	დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით	19
5.2	დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	21
ნაწილი 6	არასრულწლოვნები	29
6.1	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	29
6.2	დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	30
6.3	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ	31
6.4	დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით	31
6.5	დაზარალებული არასრულწლოვნები	32
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა**	34
ნაწილი 7	სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	34
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	34
ნაწილი 8	პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	36
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	36
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები	37
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები	38
ნაწილი 9	მსჯავრდებულები	38
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	38
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	39
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	43
ნაწილი 10	დანაშაული და შეფარდებული სასჯელები	44
10.1	დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით	44
10.2	დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით	49
თავი IV.	**პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა**	52
ნაწილი 11	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულლების -სპეციალური პენიტენციური სამსახური	52
11.1	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები	52
11.2	არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	58
11.3	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები	59

11.4	მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	60
11.5	მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით	62
11.6	უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები	62
11.7	პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა	66
11.8	პენიტენციური სისტემიდან გასვლა	66
11.9	პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება	67
11.10	რესოციალიზაციის მიმდინარეობა	68
11.11	სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება	75
11.12	დისციპლინური სახდელები	77
11.13	წახალისების ფორმები	78
11.14	პაემნის ღონისძიებები	81
11.15	წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები	82
11.16	დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები	84
11.17	შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	85
11.18	ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება	86
11.19	პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები	87
11.20	დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში	89
11.21	გარდაცვალება	97
ნაწილი 12	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო	98
12.1	არაპატიმარი მსჯავრდებულები	98
12.2	არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	99
12.3	არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით	100
12.4	უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები	101
12.5	არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით	103
12.6	არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება	104
12.7	დასრულებული საქმეები	105
12.8	პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა	108
12.9	არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება	108
12.10	არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია	108
12.11	საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე	109
12.12	არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება	110
12.13	არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება	112
12.14	შინაპატიმრობა	113

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა

ნაწილი 4. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლები

4.1. დევნის დაწყების მაჩვენებელი პირების მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1342 პირის მიმართ. აქედან გამოსაცდელი ვადის გასვლამდე დანაშაული ჩადენილია 234 პირის მიერ, რაც დევნადაწყებული პირების 17,4%-ს შეადგენს (ცხრილი 3).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



როგორც მონაცემებიდან ჩანს, დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო დაბალი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

4.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[1]

2018 წლის ოქტომბრის თვეში დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):**</u>



[1] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2018 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207[1]):</u>

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2018 წლის ოქტომბერი)



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>



<u>დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში (სსკ მუხლები 214- 219):</u>



<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 220-221):</u>

დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ კომერციული მოსყიდვის დანაშაულზე (სსკ-ის 221-ე მუხლი).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 240-ე მუხლი).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>



<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დევნა დაიწყო 58 პირის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>

დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის დანაშაულზე (სსკ-ის 284-ე მუხლი).

<u>დანაშაული გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 287-306):</u>



<u>ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი რეჟიმის დარღვევა (სსკ მუხლები 322¹-322²):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 322¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევა).

<u>ტერორიზმი (სსკ მუხლები 323-331¹):</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ სსკ-ის 331-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342¹):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>



<u>დანაშაულის დროულად აღკვეთისა და გახსნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება (სსკ მუხლები 374-376):</u>



<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>



4.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი პირების მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში დევნა შეწყდა 20 პირის მიმართ. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 3; ცხრილი 4):

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დევნის შეწყვეტაში)



4.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 6):

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126¹):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ მუქარის დანაშაულზე (სსკ-ის 151-ე მუხლი).

<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189¹):</u>

დევნა შეწყდა 3 პირის მიმართ ქურდობის დანაშაულზე (სსკ-ის 177-ე მუხლი).

<u>დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 190-207¹):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ სსკ-ის 192-ე მუხლზე (უკანონო სამეწარმეო საქმიანობა).

<u>ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):</u>

დევნა შეწყდა 2 პირის მიმართ მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების დანაშაულზე (სსკ-ის 273[1] მუხლი).

<u>სამოხელეო დანაშაული (სსკ მუხლები 332-342[1]):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 353-ე მუხლზე (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381[2]):</u>

დევნა შეწყდა 1 პირის მიმართ სსკ-ის 381-ე მუხლზე (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა).

ნაწილი 5. დაზარალებული პირები

5.1. დაზარალებული პირები ასაკობრივ, სქესობრივ ჭრილსა და მოქალაქეობის მიხედვით

2018 წლის ოქტომბერში სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 1 108. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაზარალებული პირები ასე გადანაწილდა (ცხრილი 7):

დაზარალებული პირები ასაკობრივ ჭრილში
(% მიუთითებს ხვედრით წილს სულ დაზარალებულ პირთა რაოდენობაში)



დაზარალებული პირები სქესობრივ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 5):



2018 წლის ოქტომბრის თვეში დაზარალებული პირების უმეტესობა საქართველოს მოქალაქეა (ცხრილი 5):



5.2. დაზარალებული პირები სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[2]

2018 წლის ოქტომბრის თვეში დაზარალებული პირები სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ასე გადანაწილდა (ცხრილი 8):

<u>დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 108-116):</u>



[2] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):</u>



<u>დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):</u>



<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>



<u>დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში (სსკ მუხლები 208-213):</u>

დაზარალდა 8 პირი ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღების დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 212-ე მუხლი).

<u>დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 222-239[1]):</u>



<u>სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა (სსკ მუხლები 240-245):</u>

დაზარალდა 2 პირი სსკ-ის 240-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 246-259):</u>



<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 144 პირი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულის ჩადენის შედეგად (სსკ-ის 276-ე მუხლი).

<u>კომპიუტერული დანაშაული (სსკ მუხლები 284-286):</u>



<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>



<u>დანაშაული მტკიცებულების მოპოვების საპროცესო წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 368-373):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 373-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ცრუ დასმენა).

<u>დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 377-381²):</u>

დაზარალდა 1 პირი სსკ-ის 381¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (დამცავი ან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების ან/და ვალდებულებების შეუსრულებლობა).

ნაწილი 6. არასრულწლოვნები

6.1 დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2018 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 24 არასრულწლოვნის მიმართ. აქედან 1 პირმა (4,2%) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (ცხრილი 3).

არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში ამგვარია (ცხრილი 4):

დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ რეგიონულ ჭრილში (% მიუთითებს ხვედრით წილს სულ არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელში)



6.2. დევნის დაწყების მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით[3]

2018 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი კონკრეტული დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>

დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ ძალადობის დანაშაულზე (სსკ-ის 126-ე მუხლი).

<u>**დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):**</u>

დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის დანაშაულზე (სსკ-ის 160-ე მუხლი).

<u>**დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):**</u>



[3] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთა ჯამი ხშირად აღემატება დევნის დაწყების საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: პირმა ჩაიდინა ორი ან მეტი დანაშაული) დევნის დაწყების მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილების გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა ასევე აღიქმება დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის საერთო მაჩვენებელს.

ნარკოტიკული დანაშაული (სსკ მუხლები 260-274):

დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების დანაშაულზე (სსკ-ის 273[1] მუხლი).

სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):

დევნა დაიწყო 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 353-ე მუხლით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ).

6.3. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ

2018 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვანი პირის მიმართ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (ცხრილი 3, ცხრილი 4).

6.4. დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი არასრულწლოვანთა მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლების მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სსკ-ის კონკრეტული მუხლების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 5):

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):

დევნა შეწყდა 1 არასრულწლოვნის მიმართ სსკ-ის 124-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე (ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით).

6.5. დაზარალებული არასრულწლოვნები[4]

2018 წლის ოქტომბრის თვეში სულ დაზარალდა 105 არასრულწლოვანი. დაზარალებული არასრულწლოვნები დანაშაულების მიხედვით ამგვარია (ცხრილი 8):

<u>**დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 117- 126[1]):**</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2018 წლის ოქტომბერი)



<u>**დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 137-141):**</u>

დაზარალებული არასრულწლოვნები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2018 წლის ოქტომბერი)



[4] გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებთან მიმართებით დათვლილ დაზარალებულ პირთა ჯამი ხშირად აღემატება არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს, გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (მაგ.: თუ არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ ჩადენილ იქნა ორი ან მეტი დანაშაული) დაზარალებული პირის მაჩვენებელი ფიქსირდება თითოეულ მუხლთან მიმართებით. გარდა ამისა, როდესაც ხდება ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილი ბრალდების დაზუსტება (რაც პროცესუალურად გულისხმობს პროკურორის მიერ „პირის ბრალდების შესახებ“ ახალი დადგენილებიას გამოტანას), პროგრამული თვალსაზრისით, ეს მოცემულობა შესაძლოა აღქმულ იქნას დამოუკიდებელ დევნის დაწყებად, რაც ბუნებრივად ზრდის არასრულწლოვან დაზარალებულ პირთა საერთო მაჩვენებელს.

<u>დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 142-170):</u>



<u>დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ (სსკ მუხლები 177-189[1]):</u>

<u>სატრანსპორტო დანაშაული (სსკ მუხლი 275-283):</u>

დაზარალდა 20 პირი სსკ-ის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შედეგად (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა).

<u>დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ (სსკ მუხლები 343-363):</u>

დაზარალდა 1 არასრულწლოვანი თვითნებობის დანაშაულის ჩადნის შედეგად (სსკ-ის 360-ე მუხლი).

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1331 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 33,1%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 66,0%-ს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა - 0,7%-ს, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ხვედრითი წილი - 0,2%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 626 შუამდგომლობა, ანუ 47,0%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობებიდან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 70,3%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 35,2%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 565 შუამდგომლობა, ანუ 42,4%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება, ან უარი ეთქვა შეფარდებაზე 140 შუამდგომლობას, ანუ 10,5%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2018 წლის ოქტომბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 41,5% (310), გირაოზე - 56,3% (420), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 1,5% (11).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 747 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 310, ანუ 41,5%, ხოლო არასაპატიმრო - 437, ანუ 58,5%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 96,1%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1451 საქმე 1659 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1411 საქმე, ანუ 97,2%, შეწყდა 19 საქმე (1,3%), დაუბრუნდა პროკურატურას 18 საქმე, ანუ 1,2% (იხ. დანართი ცხრილი №10).

2018 წლის ოქტომბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 888 საქმე (სულ განხილული საქმეების 62,9%) 999 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 61,9%), არსებითი განხილვით დამთავრდა 523 საქმე (შესაბამისად 37,1%) 615 პირის მიმართ (38,1%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით

განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 523 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 461 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი - 49 საქმეზე, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი 13 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი №11).

2018 წლის ოქტომბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 635 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 8,8%-ს, ნაწილობრივ გამართლებული პირების ხვედრითი წილი - 2,8%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა შეადგენს 3,1%-ს (იხ. დანართი ცხრილი №12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ არსებითი განხილვის გარეშე შემოსული იყო 617 სისხლის სამართლის საქმე 650 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 888 საქმეზე 999 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში არსებითი განხილვით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 32,0% (იხ. დანართი ცხრილი №13.

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2018 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1558 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 380 პირს, ანუ 24,4%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 752 პირს, ანუ 48,3%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 329 პირს, ანუ 21,1%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 95 პირის, ანუ 6,1%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2018 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1558 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 93,4%-ს, ხოლო ქალი 6,6%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,4%-ს, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,5%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 21,6%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 5,5% (იხ. დანართი ცხრილი №14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 17 პირი, რაც შეადგენს 1,1%-ს,

-18-24 წლის ასაკის - 182 პირი, ანუ 11,3%,

- 25-29 წლის ასაკის 269 პირი, ანუ 17,3%,

- 30-49 წლის ასაკის - 806 პირი, ანუ 51,7%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 284 პირი, ანუ 18,2%.



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 58 პირი, ანუ 3,7%, საშუალო განათლების მქონეა 1176 პირი, ანუ 75,5%, უმაღლესი განათლების მქონეა 319 პირი, ანუ 20,5%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1558 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1260, ანუ 80,9%
- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 80, ანუ 5,1%
- სხვა მომუშავეა 160, ანუ 10,3%
- კერძო მეწარმეა 21, ანუ 1,3%
- მოსწავლე ან სტუდენტია 8 ანუ 0,5%
- საჯარო მოსამსახურეა 9, ანუ 0,6% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 9,6%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2018 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული იყო 17 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 1,1%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 17, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 16 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 94,1% (იხ. დანართი ცხრილი №15).

2018 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 17 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 5,9%, პირობითი მსჯავრი შეეფარდა 12 პირს, ანუ 70,6%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 3 პირს (17,6%), შინაპატიმრობა - 1 პირს, ანუ 5,9%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 17 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 12 პირს, ანუ 70,6%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 8,3%-ს;

- ძარცვის, განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებისათვის მსჯავრი დაედო თითო-თითო პირს, ანუ 5,9%, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა არ შეეფარდა არც ერთ პირს და სხვა (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 8 არასრულწლოვანი, ანუ 47,1%;

- იმერეთის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 3 არასრულწლოვანი, ანუ 17,6%;

- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 2-2 არასრულწლოვანი, ანუ 11,8% ;

- სამეგრელოსა და აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა თითო-თითო არასრულწლოვანი, ანუ 5,9% (იხ. დანართი ცხრილი №18).

ნაწილი 10 - დანაშაული და შეფარდებული სასჯელები

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1411 საქმე 1614 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1558 (56 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი) პირის მიერ ჩადენილი იყო 2014 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 2279 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი №19).

2018 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 4,7%-ს, მძიმე დანაშაული - 28,8%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული 66,5%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 2279 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 4,7%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 33,1%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 62,3%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 79,2%-ს, პირობითი მსჯავრის - 20,8%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 46,4%-ს, პირობითი მსჯავრის - 40,7%-ს, ჯარიმის - 12,7%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 20,0%-ს, პირობითი მსჯავრის - 44,4%-ს, ჯარიმის - 27,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 8,0%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით (პროცენტობით)



2018 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 218 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 10,8%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 233 სასჯელი, ანუ 10,2%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 33,0%-ს, პირობითი მსჯავრის 38,2%-ს, ჯარიმის - 22,3%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 6,4%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,9%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 1,7%-ს (იხ. დანართი ცხრილი №20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 26,8% (540), ნარკოტიკულ დანაშაულზე - 18,1% (365), ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულზე - 20,9% (420), მმართველობის წესის წინააღმდეგ დანაშაულზე - 10,9% (220), დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ - 5,2 (105) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა (პროცენტობით)



2018 წლის ოქტომბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 1679 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 31,5%-ს (718);

- პირობითი მსჯავრი 42,1%-ს (959);

- ჯარიმა 21,2%-ს (483);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 5,0%-ს (114).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2018 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის შეფარდებული სასჯელებიდან 1138, ანუ 49,9% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, იმერეთის სასამართლოებზე - 282, ანუ 12,4%, აჭარის სასამართლოებზე - 183, ანუ 8,0%, ქვემო ქართლის სასამართლოებზე - 130, ანუ 5,7%, შიდა ქართლის სასამართლოებზე - 123, ანუ 5,4%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 141, ანუ 6,2% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი №21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: თბილისზე - 40,7%, ქვემო ქართლზე - 26,2%, სამცხე-ჯავახეთზე - 30,0%, მცხეთა - მთიანეთზე - 44,1%, შიდა ქართლზე - 22,0%, კახეთზე - 20,6%, აჭარაზე - 33,9% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: შიდა ქართლზე - 65,0%, გურიაზე - 54,3%, რაჭაზე - 83,3%, სამცხე-ჯავახეთზე - 51,4%, იმერეთზე - 61,3%, კახეთზე - 47,1%, ქვემო ქართლზე - 53,8%, სამეგრელოზე - 58,9% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: აჭარა - 26,2%, მცხეთა - მთიანეთი - 14,7%, სამეგრელო - 18,4%, გურია - 21,4%, თბილისი - 25,6% და სხვა.

თავი IV. პენიტენციური და პრობაციის სისტემების სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახური

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2018 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 9 886 პირი. მათგან 9 565 კაცი და 321 ქალია.

ანალიტიკური დეპარტამენტის სტატისტიკის, კვლევისა და ანალიზის სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2018 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან პენიტენციური დეპარტამენტის მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (9 886) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (3 729 600)[1] 0.27% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (9 565) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (1 791 600) 0.53%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა (321) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (1 938 100) 0.02%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2018 წლის ოქტომბრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდიოდა (9 528). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24, №25):

[1] შესაძლო მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის საქსტატის მიერ აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 41-49 წლამდე ასაკის ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.



ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული იყო სულ 9 886 ბრალდებული და მსჯავრდებული. მათი კლასიფიცირება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №27):




მსჯავრდებულთა
ასაკობრივი კატეგორიები
70 წლის ზემოთ
0.45% (37)
65-69 წელი
0.64% (53)
60-64 წელი
1.98% (163)
50-59 წელი
10.35% (851)
41-49 წელი
20.54% (1 689)
36-40 წელი
16.99% (1 397)
31-35 წელი
17.63% (1 450)
26-30 წელი
17.40% (1 431)
22-25 წელი
10.29% (846)
20-21 წელი
2.59% (213)
18-19 წელი
0.80% (66)
16-17 წელი
0.29% (24)
14-15 წელი
0.05% (4)
0.00%
5.00%
10.00%
15.00%
20.00%
25.00%



ბრალდებულები და მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში

2018 წლის ოქტომბრის თვეში, 8 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 1 662 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 16.8%-ს ბრალდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2018 წლის ოქტომბრის თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

2018 წლის ოქტომბრის თვეში, 15 პენიტენციურ დაწესებულებაში სულ 8 224 მსჯავრდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 83.2%-ს მსჯავრდებულები შეადგენდნენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი მსჯავრდებული 2018 წლის ოქტომბრის თვეში №17 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.2 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (37) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.4%-ს უტოლდება. არასრულწლოვანთა შორის 9 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 24.3%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):



არასრულწლოვანთა შორის 28 მსჯავრდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი, მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.3%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და

მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 75.7%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პენიტენციურ დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):



11.3 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების დადგენილი ლიმიტები

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის №106 ბრძანებით[2] დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება, დაწესებულებებში განთავსების ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

პენიტენციურ სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 12 492-ს შეადგენს. 2018 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (9 886) ამ ზღვარზე 2 606 ერთეულით (20.9%) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებებში განსხვავებული მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, დადგენილ ლიმიტებთან შედარებით, მეტობის მაჩვენებელი №2 და №15 დაწესებულებებში ფიგურირებს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი დადგენილი ლიმიტებით, სადაც პროცენტული მაჩვენებლის შემდეგ ფრჩხილებში მოცემულია შესაბამისი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა/მეტობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის სახით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

[2] 2015 წლის 27 ოქტომბრის №106 ბრძანებაში ბოლო ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 25 ივნისს.



როგორც მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2018 წლის ოქტომბერში, №2 და №15 დაწესებულებებში განთავსებული იყო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ჭარბი რაოდენობა. ხოლო, დადგენილთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროცენტულად ყველაზე ნაკლები რაოდენობა №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.4 მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 83.2%-ს შეადგენდა. მათგან, უმეტესობას მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენდნენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილით განისაზღვრებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების რაოდენობაც. რაც შეეხება მსჯავრდებულთა გადანაწილებას დანაშაულის სახეობის მიხედვით, უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა ეკონომიკური (4 909) და საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (3 386) ჩადენილი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს.

ასევე, მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ (2 878) ჩადენილი დანაშაული (იხ. დანართი, ცხრილი №30, №31):





11.5 მსჯავრდებულები დაწესებულების ტიპის მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში, მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც დაწესებულების ტიპი განესაზღვრათ 8 097-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 127-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №32):



11.6 უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განთავსებულნი იყვნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები 47 ქვეყნიდან და მოქალაქეობის არმქონე პირები. მიმდინარე წლის ოქტომბრის დასასრულს

მათი რიცხვი 597-ს (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 6.0%) შეადგენდა. მათ შორის: №2 დაწესებულებაში 1 (რუსეთი-საქართველო), №5 დაწესებულებაში 4 (თურქეთი-საქართველო, თურქეთი-საქართველო, ისრაელი-საქართველო, რუსეთი-თურქეთი), №8 დაწესებულებაში 4 (საბერძნეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, აზერბაიჯანი-საქართველო), №12 დაწესებულებაში 1 (ესტონეთი-საქართველო), №14 დაწესებულებაში 2 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო), №16 დაწესებულებაში 3 (საბერძნეთი-რუსეთი, ირანი-საქართველო, ირანი-საქართველო), №17 დაწესებულებაში 3 (რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო, რუსეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული იმყოფებოდა.

ქვემოთ მოცემულია პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობის ამსახველი დიაგრამები, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და მოქალაქეობის სახელმწიფოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №33, №34):



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი თურქეთზე, ირანზე, აზერბაიჯანსა და რუსეთზე მოდის. დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (ავღანეთი - 1, ბურუნდი - 1, დიდი ბრიტანეთი - 1, ეკვადორი - 1, ესტონეთი - 1, თურქმენეთი - 1, იტალია - 1, კოლუმბია - 1, კონგო - 1, კოტ’დ’ივუარი - 1, ლიბანი - 1, მექსიკა - 1, საუდის არაბეთი - 1, სერბეთი - 1, სირია - 1, ტაჯიკეთი - 1, უგანდა - 1, ჰოლანდია - 1).


უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე
ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სხვა 8 10
მოქალაქეობის არმქონე 2 2
ჩინეთი 2
ყირგიზეთი 2
ყაზახეთი 2 3
უკრაინა 3 19
უზბეკეთი 5 7
სომხეთი 6 20
სიერა-ლეონე 4
სამხრეთ აფრიკა 5
საბერძნეთი 6
რუსეთი 28 43
პალესტინა 2
პაკისტანი 3
ნიგერია 4 11
მოლდოვა 3
მაროკკო 1 7
ირანი 35 82
იორდანია 1 1
ინდოეთი 4 3
ისრაელი 3 5
იემენი 2
თურქეთი 45 82
ერაყი 4 4
ეგვიპტე 1 2
გერმანია 2 1
ბრაზილია 5
ბულგარეთი 3
ბელარუსი 1 1
ბანგლადეში 1 8
აზერბაიჯანი 21 72
0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%
ბრალდებულები - 181
მსჯავრდებულები - 416



11.7 პენიტენციურ სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანა

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში სულ 892 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან, საერთო პროფილის საავადმყოფოებში 493, ხოლო პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 399 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №35):



11.8 პენიტენციური სისტემიდან გასვლა

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 681 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის პენიტენციური

სისტემიდან სხვადასხვა საფუძვლით გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №36):



როგორც ვხედავთ, პენიტენციური სისტემიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უდიდესი წილი კალენდარულად (228), პირობით ვადამდე (78), პირობითი მსჯავრით (56) და შეწყალებით (32) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. ხოლო, დაბალი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა - შინაპატიმრობით (6), გარდაცვალება (4) და ავადმყოფობით გათავისუფლება (3). გარდა ამისა, სხვა სახით გათავისუფლებულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (274) მთლიანი რაოდენობის 40.2%-ს შეადგენდა.

11.9 პენიტენციური სისტემიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გათავისუფლება-გადავადება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლებულ-გადავადებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დეტალური მონაცემები მოცემულია შემდეგ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №37):



11.10 რესოციალიზაციის მიმდინარეობა

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ ღონისძიებაში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებად. ასევე, აღირიცხება თითოეულ დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებათა ტიპები მონაწილე პირების გარეშე.

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ დაწესებულებებში რესოციალიზაციის 1 873 ღონისძიება განხორციელდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მონაწილეობით და 16 ღონისძიება - მონაწილე პირთა გარეშე. განხორციელებულ ღონისძიებებს შორის ყველაზე დიდი ადგილი ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით შრომას (537) ეკავა.

ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და დაწესებულებების მიხედვით, ასევე რესოციალიზაციის ღონისძიებების მაჩვენებელი მონაწილე პირთა გარეშე (იხ. დანართი, ცხრილი №38, №39, №40):

რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული პირები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



რესოციალიზაციის ღონისძიებებში ჩართული ბრალდებულები და მსჯავრდებულები




რესოციალიზაციის მიმდინარეობა
დაწესებულებებში
№19 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№2 დაწესებულება
26
0
154
182
209
175
75
109
17
216
17
5
23
456
13
143
53
0%
10%
20%
30%
40%
50%
60%
70%
80%
90%
100%
სრულწლოვანი - 1 694
არასრულწლოვანი - 179



2018 წლის ოქტომბრის თვეში, არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ მიმდინარეობს/წარმატებით დასრულდა რესოციალიზაციის 179 ღონისძიება. ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამასა და ღონისძიებაში ჩართული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება:



საანგარიშო პერიოდში, 37 არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალიზაციის 179 სხვადასხვა ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას.

ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის მიმდინარე, წარმატებით და წარუმატებლად დასრულებული ღონისძიებების მაჩვენებელები და ასევე რესოციალიზაციის ღონისძიებები ქვეტიპების მიხედვით:




ზოგადი/უმაღლესი
განათლება
35
30
25
20
15
10
5
0
31
0 0 0 0 0
0 0 0 0 10 0
ზოგადი განათლება - 31
უმაღლესი განათლება - 10
საჯარო სკოლა - 31
ექსტერნატი გამოცდები - 0
საატესტატო გამოცდები - 0
ეროვნული გამოცდები - 0
ბაკალავრი - 10
მაგისტრატურა - 0


პროფესიული განათლება (კრედიტებით/სასერტიფიკატო),
საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები
200
180
160
140
120
100
80
60
40
20
0
0 0 0 0 0 0
0 0 185 0 0 0
0 0 0 0 49 157
პროფესიული განათლება (კრედიტებით) - 0
პროფესიული განათლება (სასერტიფიკატო) - 185
საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამები - 206
პროფესიული განათლება (კრედიტებით) - 0
მ.შ. კომპიუტერული პროგრამები (კრედიტებით) - 0
პროფესიული განათლება (სასერტიფიკატო) - 185
მ.შ. კომპიუტერული პროგრამები (სასერტიფიკატო) - 0
საგანმანათლებლო პროგრამები - 49
მ.შ. ენის შემსწავლელი კურსი - 157


ფსიქო-სოციალური ტრენინგები/თერაპია
450
400
350
300
250
200
150
100
50
0
71
90
0
0
0
0
386
0
ფსიქო-სოციალური ტრენინგები - 161
ფსიქო-სოციალური თერაპია - 386
ჯგუფური ინტერვენციები - 71
არტ/მხარდამჭერითი თერაპია - 90
ცენტრალიზებული ტრენინგები - 386
ლოკალური ტრენინგები - 0


კულტურული/სპორტული და სხვა ღონისძიებები
100
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
29
48
89
37
0
0
0
0
0
0
67
0
0
0
0
0
87
კულტურული ღონისძიებები - 203
სხვა ღონისძიებები - 67
სპორტული ღონისძიებები - 87
თეატრალური დასი - 29
კონკურსები - 48
სხვა კულტურული ღონისძიებები - 89
ინტელექტუალურ შემეცნებითი შეხვედრები - 37
რეკრეაციული პროგრამა - 67
სპორტული წვრთნა - 87



11.11 სამეურნეო სამუშაოებში დასაქმება

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციური დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული იყო 420 პირი. ქვემოთ დიაგრამებზე ნაჩვენებია მათი რაოდენობა სქესობრივი ჭრილისა და შრომის ანაზღაურების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №41):




დაწესებულებების სამეურნეო სამსახურებში
მსჯავრდებულთა დასაქმება/ანაზღაურება
№19 დაწესებულება
№18 დაწესებულება
№17 დაწესებულება
№16 დაწესებულება
№15 დაწესებულება
№14 დაწესებულება
№12 დაწესებულება
№11 დაწესებულება
№9 დაწესებულება
№8 დაწესებულება
№7 დაწესებულება
№6 დაწესებულება
№5 დაწესებულება
№3 დაწესებულება
№2 დაწესებულება
16
3300.00
0
0
76
14499.99
0
0
47
8726.09
43
8544.56
17
3240.21
0
0
2
400.00
107
18683.69
4
800.00
23
4335.87
23
4417.39
3
600.00
59
10144.58
0.00
2000.00
4000.00
6000.00
8000.00
10000.00
12000.00
14000.00
16000.00
18000.00
20000.00
სამეურნეო სამსახურებში დასაქმებული მსჯავრდებულები - 420
ანაზღაურება - 77 692.38 ლარი

11.12 დისციპლინური სახდელები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, დისციპლინური სახდელები პენიტენციურ დაწესებულებებში 239-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური სახდელები სახეებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №42):







11.13 წახალისების ფორმები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, მსჯავრდებულთა წახალისება 100-ჯერ განხორციელდა. მათი გადანაწილება წახალისების ფორმებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №43):

წახალისების ფორმები




წახალისების ღონისძიებები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში
არასრულწლოვანი ქალი
0.0% (0)
არასრულწლოვანი კაცი
0.0% (0)
სრულწლოვანი ქალი
0.0% (0)
სრულწლოვანი კაცი
100.0% (100)
0.0%
20.0%
40.0%
60.0%
80.0%
100.0%
120.0%


წახალისების ფორმები
დაწესებულებებში
№19 დაწესებულება
0
№18 დაწესებულება
1
№17 დაწესებულება
24
№16 დაწესებულება
3
№15 დაწესებულება
15
№14 დაწესებულება
14
№12 დაწესებულება
4
№11 დაწესებულება
0
№9 დაწესებულება
1
№8 დაწესებულება
34
№7 დაწესებულება
0
№6 დაწესებულება
1
№5 დაწესებულება
0
№3 დაწესებულება
0
№2 დაწესებულება
3
0
5
10
15
20
25
30
35
40

11.14 პაემნის ღონისძიებები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 844-ჯერ ისარგებლეს. განხორციელებული პაემნები სახეობებისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №44):







11.15 წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, წარსულში ნასამართლევ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (3 669) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №45):

წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



წარსულში ნასამართლევი ბრალდებულები და მსჯავრდებულები დაწესებულებებში



11.16 დაოჯახებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, დაოჯახებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა (5 104) სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №46):





11.17 შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შეწყალების შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან მსჯავრდებულთა გათავისუფლების სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და დაწესებულებების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №36, №47):





11.18 ამნისტიის შედეგად საპატიმრო სასჯელისაგან გათავისუფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ამნისტიის შედეგად, საპატიმრო სასჯელისაგან ბრალდებულის/მსჯავრდებულის გათავისუფლების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №36, №48).

11.19 პენიტენციურ სისტემაში მომხდარი დანაშაულები

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი პენიტენციურ სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის საქართველოს სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 12 მუხლით გათვალისწინებული 106 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი საქართველოს სსკ 126-ე (ძალადობა) მუხლით ჩადენილ ქმედებებზე მოდის.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №49, №50):



ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები

დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ, პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვეში, გამოძიება 14 სხვადასხვა დაწესებულებაში და დაწესებულების გარეთ მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი ადგილმდებარეობის მიხედვით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს:

ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები
დაწესებულებებში და დაწესებულების გარეთ



საანგარიშო პერიოდში, გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 104 პირის[3] მიმართ წარიმართა. გამოძიების ობიექტს - ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 22-25 და 26-30 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2018 წლის ოქტომბრის თვეში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება:

[3] საქართველოს სსკ 188-ე მუხლით 1 საქმეზე და სსკ 150-ე მუხლით 1 საქმეზე, ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირები, გამოძიება დაწყებულია ფაქტემზე.



11.20 დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) პენიტენციურ სისტემაში[4]

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)

2018 წლის ოქტომბრის თვეში, სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით, ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად, ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადების მიხედვით[5], გამოვლენილი დაავადებათა საერთო რაოდენობა 8 473-ს გაუტოლდა. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითად დაავადებათა ხვედრითი წილი. პენიტენციურ სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი ნაწილი ფსიქიკურ და ქცევით აშლილობებზე (1 372) მოდის. ხოლო, ყველაზე დაბალი მაჩვენებლით წარმოდგენილია ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა (2), ასევე სამკურნალწამლო საშუალებებით, მედიკამენტებით და ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლა და არასამედიცინო დანიშნულების სუბსტანციების ტოქსიური ეფექტები (2) (იხ. დანართი, ცხრილი №51):

[4] დაავადებათა შესაბამისი კოდები (ICD10) იხილეთ ანგარიშის დანართში.

[5] დაავადებათა უფრო დეტალურად ჩაშლილი მონაცემები იხ. ანგარიშის თანდართულ №51 და №52 ცხრილებში.


დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)
საერთო
ავადობის და სიკვდილობის გარე მიზეზები
0.3% (23)
სამკურნალწამლო საშუალებებით, მედიკამენტ. და ბიოლოგ. ნივთ. მოწამვლა და არასამედიც. დანიშნულ. სუბსტანციებ. ტოქსიური ეფექტები
0.02% (2)
ტრავმები
1.4% (122)
სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკ. და ლაბორატორ. მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციაში
5.3% (450)
თანდაყოლილი მანკები, დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები
0.1% (8)
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები
0.8% (72)
ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა
0.02% (2)
შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები
6.1% (515)
ძვალ-კუნთოვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებები
5.9% (497)
კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები
5.0% (420)
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები
12.8% (1 086)
სასუნთქი სისტემის დაავადებები
8.8% (747)
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები
12.1% (1 028)
ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები
1.9% (158)
თვალისა და მისი დანამატების დაავადებები
4.4% (369)
ნერვული სისტემის დაავადებები
3.2% (274)
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები
16.2% (1 372)
ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები
4.1% (346)
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმის მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები
0.2% (21)
სიმსივნეები
0.6% (50)
ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები
10.8% (911)
0.0%
5.0%
10.0%
15.0%
20.0%

დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები (7 444) ხასიათდებიან. ICD10 კოდით განსაზღვრული ძირითადი დაავადებები, სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №52):



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა საერთო რაოდენობაში:



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სრულწლოვან კაცებსა და ქალებში 41-49 წლამდე ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა (75) ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა მთლიანი რაოდენობის (8 473) 0.9%-ს შეადგენს. დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში დაავადებათა კატეგორიის მიხედვით:



შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს ICD10 კოდით განსაზღვრულ ძირითად დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ (იხ. დანართი, ცხრილი №52):

დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა) სრულწლოვან კაცებში



დაავადებათა გავრცელება (პრევალენტობა)
სრულწლოვან ქალებში



როგორც დიაგრამებიდან ჩანს, მამრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები, ხოლო მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები სჭარბობს.

სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფა

პენიტენციურ დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცემები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების მიხედვით ითვლება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2018 წლის ოქტომბრის თვეში სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფას პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №53):

პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებები



11.21 გარდაცვალება

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარდაცვალების 4 ფაქტი დაფიქსირდა. გარდაცვალების მაჩვენებელი ადგილმდებარეობისა და სავარაუდო ნოზოლოგიის მიხედვით ასახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №54, №55):





ნაწილი 12 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 არაპატიმარი მსჯავრდებულები

არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად, როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2018 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, საქართველოში სულ 24 235 არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა. რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთის, სამეგრელო ზემო-სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონი მოსდევს. არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქ/სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული, რაც ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებზეა ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №56):



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით, ქვეყანაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე (20 790) მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლით ხასიათდება სასჯელის მოხდის გადავადება (14).



მთელი ქვეყნის მასშტაბით, არაპარტიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №57, №58):



12.2 არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.3 არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით

2018 წლის ოქტომბრის თვის მონაცემებით, არასრულწლოვანი არაპატიმარი მსჯავრდებულები (84) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.3%-ს შეადგენდნენ. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №59):





12.4 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოში 20 სხვადასხვა მოქალაქეობის 182 უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც არაპატიმარ მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 0.8%-ია. სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფებისა და მოქალაქეობის მიხედვით მათი განაწილების მაჩვენებელი ქვემოთ დიაგრამებზეა მოცემული (იხ.დანართი, ცხრილი №60, №61):

უცხოელ არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები



უცხოელი არაპატიმარი მსჯავრდებულები მოქალაქეობის მიხედვით



12.5 არაპატიმარი მსჯავრდებულები არასაპატიმრო სასჯელის ტიპის მიხედვით

არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (1 214) არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 5.0%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 3.0 % (36) ქალია. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში, ამ სახის არაპატიმარ მსჯავრდებულებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამორთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 436 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 35.9%), საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 778 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 64.1%) პირს ჰქონდა შეფარდებული, ხოლო გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნა არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №62):





საანგარიშო პერიოდში, პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 23 890-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №56):



12.6 არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატება

2018 წლის ოქტომბრის თვეში, სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 184 პირის მიმართ იქნა გამოტანილი.

შემდეგ დიაგრამებზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №63):





ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2018 წლის ოქტომბრის თვის განმავლობაში არაპატიმარ მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №64):



12.7 დასრულებული საქმეები

2018 წლის ოქტომბრის თვეში, დასრულებული საქმეთა რაოდენობა უცხოელთა (3) და საქართველოს მოქალაქეთა მიმართ (1 064) საფუძვლისა და რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №65, №66, №67, №68):

დასრულებული საქმეები საქართველოს მოქალაქეთა მიმართ
საფუძვლის მიხედვით



დასრულებული საქმეები უცხოელთა მიმართ
საფუძვლის მიხედვით





როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის რეგიონის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა აჭარა და სამეგრელო-ზ/სვანეთი. ხოლო, რაოდენობრივად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმისა და ქ/სვანეთის რეგიონია.

დასრულებული საქმეების რაოდენობა არაპატიმარ მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №66, №67, №68):







12.8 პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა

2018 წლის ოქტომბრის თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №69).

12.9 არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალება

2018 წლის ოქტომბრის თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა შეწყალების ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №70).

12.10 არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტია

2018 წლის ოქტომბრის თვეში, არაპატიმარ მსჯავრდებულთა ამნისტიის ფაქტი არ დაფიქსირებულა (იხ. დანართი, ცხრილი №71).

12.11 საქმეების საშუალო რაოდენობა[6] ერთ ოფიცერზე

2018 წლის ოქტომბრის თვის მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში 24 235 არაპატიმარი მსჯავრდებულის საქმე 165 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში სამეგრელო-ზ/სვანეთი (180), თბილისი (164), გურია (156) და ქვემო ქართლი (154) ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩუმსა და ქ/სვანეთში (31) დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში 147 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე, საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №72):



[6] საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცრების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას არაპატიმარ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცრის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №56 ცხრილში სახელწოდებით „არაპატიმარ მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.

12.12 არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიმდინარეობა და განრიდებულთა შეფასება

2018 წლის ოქტომბრის თვეში, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზ/სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთისა და აჭარის რეგიონებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის, სარეაბილიტაციო და სამკურნალო პროგრამებისა და დასაქმების ღონისძიებები სულ 415 არაპატიმარი მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2018 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):



არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



არაპატიმარ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია რეგიონულ ჭრილში



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განრიდებულთა შეფასების მაჩვენებელი (76) რეგიონებისა და სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ასახულია ქვემოთ დიაგრამებზე (იხ. დანართი, ცხრილი №73, №74):





12.13 არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმება

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია არაპატიმარ მსჯავრდებულთა დასაქმების 2018 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №75):





12.14 შინაპატიმრობა

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის შეფარდების 2018 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკის საერთო მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №76, №77, №78):

შინაპატიმრობის შეფარდება
რეგიონულ ჭრილში (საერთო)



შინაპატიმრობის შეფარდება
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (საერთო)



შინაპატიმრობის შეფარდება
სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ (საერთო)



ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით შემოსულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №77):







ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია შინაპატიმრობის მაჩვენებელთან დაკავშირებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილის, რეგიონებისა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №78):




შინაპატიმრობის შეფარდება - დასრულებულ საქმეთა რაოდენობა
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში
არასრულწლოვანი ქალი
0.0% (0)
არასრულწლოვანი კაცი
20.0% (1)
სრულწლოვანი ქალი
0.0% (0)
სრულწლოვანი კაცი
80.0% (4)
0.0%
20.0%
40.0%
60.0%
80.0%
100.0%


შინაპატიმრობის შეფარდება
სასამართლოს/ადგილობრივი საბჭოების მიერ
(დასრულებულ საქმეთა რაოდენობა)
ადგილობრივი საბჭოების მიერ
80.0% (4)
სასამართლოს მიერ
20.0% (1)
0.0%
20.0%
40.0%
60.0%
80.0%
100.0%